საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/56

19 სექტემბერი 2012 წ. ქ. ბათუმი

2012-2013 სასწავლო წლისათვის რსუ-ს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები გამოცდების ორგანიზების მიზნით საგამოცდო კომისიების და საპრეტენზიო საბჭოს შექმნის შესახებ 2012 წლის 20 აგვისტოს №01-08/37 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, რსუ-ს წესდების მე-13 მუხლისა და განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ. ქორიძის 2012 წლის 24 სექტემბრის №3173 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,2012-2013 სასწავლო წლისათვის რსუ-ს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები გამოცდების ორგანიზების მიზნით საგამოცდო კომისიების და საპრეტენზიო საბჭოს შექმნის შესახებ“ რსუ-ს რექტორის 2012 წლის 20 აგვისტოს №01-08/37 ბრძანების, უცხო ენის კომისიის ნაწილში, კერძოდ საგამოცდო კომისია განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

კომისია უცხო ენაში (ინგლისური ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა)

1. ასოც. პროფესორი ნანა სტამბოლიშვილი- თავმჯდომარე;
2. ასისტ. პროფესორი თეა შავლაძე - წევრი;
3. ასისტ. პროფესორი ჟუჟუნა გუმბარიძე - წევრი;
4. ასისტ. პროფესორი ნელი ახვლედიანი - წევრი;
5. ასისტ. პროფესორი თეონა ბერიძე - წევრი;
6. ასისტ. პროფ. ნათია აბაშიძე - წევრი.

2. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს რსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტზე, მაგისტრატურის, რეზიდენტურის და დოქტორანტურის მართვის სამსახურთან თვალსაჩინო ადგილას არსებულ საინფორმაციო დაფებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რის უზრუნველყოფა დაევალოთ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, მაგისტრატურის, რეზიდენტურის და დოქტორანტურის მართვის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი ა. ბაკურიძე